ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 556

21 ნოემბერი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. №2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. №46-ში (ს/კ. №01.15.04.015.001 და №01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 56-ე მუხლის, აგრეთვე, „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. №20-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. №46-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.04.015.001 და №01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით, რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის პირველი ნოემბრის №23.1667.1833 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

„ა) ,,ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. №2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. №46-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.04.015.001 და №01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 ნოემბრის №23.1667.1833 განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის - „თბილისის განვითარების ფონდის" (ს/ნ. 404384974) მიერ ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. №2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. №46-ში (ს/კ. №01.15.04.015.001 და №01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლზე განსახორციელებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების შედეგად შესაქმნელ ნამეტ ფართებზე საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლებების ამავე მისამართებზე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრეების სასარგებლოდ დათმობის თაობაზე, ზემოაღნიშნული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის პირველი ნოემბრის №23.1667.1833 განკარგულების დანართის შესაბამისად.

ბ) ,,ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. №2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. №46-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.04.015.001 და №01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 ნოემბრის

№23.1667.1833 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის - „თბილისის განვითარების ფონდის“ (ს/ნ. 404384974) მიერ განსახორციელებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების შედეგად შესაქმნელი ნამეტი ფართები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ,,ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. №2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. №46-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.04.015.001 და №01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 ნოემბრის №23.1667.1833 განკარგულების დანართით, დათმობილ იქნეს, ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. №2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. №46-ში (ს/კ. №01.15.04.015.001 და №01.15.04.015.003) შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების - „კადეტისა“ და „რევაზ ლაღიძის 2“-ის იმ წევრებზე, რომელთა სასარგებლოდაც ნამეტი ფართების დათმობა არ არის გათვალისწინებული, ზემოაღნიშნული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების დანართით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე